საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №92
2019 წლის 29 მარტი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **47-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:**

„4. გადასახადის გადამხდელს შეუძლია განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით, თუ ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ნებაყოფლობით გატარდა რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;

ბ) რეგისტრაციის დღიდან არ გასულა 30 კალენდარულ დღეზე მეტი;

გ) არ დასტურდება ანგარიშ-ფაქტურის გატანა-გამოწერის ფაქტი;

დ) არ არის წარდგენილი დღგ-ის დეკლარაცია.“.

2. **დანართი №III-03 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**